გურიის მოზარდთა ჯანდაცვის პროექტი

ქეა საერთაშორისო/USAID-ის მიერ დაფინანსებული გურიის მოზარდთა ჯანდაცვის პროექტის მიზანია მოზარდების მხარდაჭერა იმის უზრუნველსაყოფად, რომ მიიღონ ინფორმირებული გადაწყვეტილებები ჯანმრთელობასთან დაკავშირებით.

ახალგაზრდების ჯანმრთელობის გასაუმჯობესებლად შემოთავაზებული სტრატეგიის თანახმად, იმისათვის რომ მოხდეს პოზიტიური გავლენა ახალგაზრდების ჯანმრთელობაზე, საჭირო იქნება მჭიდრო თანამშრომლობის ჩამოყალიბება ახალგაზრდებსა და იმ მოზრდილებს შორის, რომლებსაც მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ მათ ცხოვრებაში: მშობლები, მასწავლებლები, ჯანდაცვის მუშაკები, რელიგიური ლიდერები და სხვა. პროექტი მოზარდთა საკითხების მიმართ გამოიყენებს კომლექსურ მიდგომას, რომლის მიხედვითაც ახალგაზრდები და მათი მშობლები, მასწავლებლები და სხვა მოზრდილები ახალგაზრდების ინტერესებიდან გამომდინარე შეარჩევენ პრიორიტეტულ საკითხებსა და თემებს.

პროექტის საქმიანობა ხელს უწყობს სექტორთაშორის ურთიერთობას ადგილობრივი მთავრობის სხვადასხვა სეგმენტს შორის და ახალგაზრდებისა და მოზრდილების პარტნიორობისათვის ხელსაყრელი გარემოს ჩამოყალიბებას. გურიის მოზარდთა ჯანდაცვის პროექტის სტრატეგია ხელს უწყობს მოზარდებსა და მოზრდილებს შორის დიალოგს, კომუნიკაციასა და ურთიერთგაგებას. პროექტის გუნდს სჯერა, რომ თაობათა შორის დიალოგი დაეხმარება შესაძლებლობების, დაბრკოლებებისა და გამორჩეული გამოცდილების შესახებ საერთო ხედვის ჩამოყალიბებას.

ქეა ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებს და ჯანდაცვისა და განათლების მუშაკებს სთავაზობს ტექნიკურ დახმარებასა და შესაძლებლობების გაძლიერებას, რათა დაეუფლონ ისეთ უნარ-ჩვევებს, რომლებიც დაეხმარება მათ ჯანდაცვის ხელშემწყობი პროგრამების განხორციელებაში.

რას აკეთებს გურიის მოზარდთა ჯანდაცვის პროექტი:

- ახალგაზრდებისთვის მოსახერხებელი სერვისების ხელშეწყობა მოზარდების ჯანმრთელობისათვის
- მოზარდებსა და მოზრდილებს შორის ჯანმრთელობის უფლებების დაცვა და პასუხისმგებლობების ხელშეწყობა
- საზოგადოებაში უთანასწორობის გამომწვევ საკითხებზე მუშაობა

მიზანი: მოზარდთა უზრუნველყოფა ინფორმირებული ჯანდაცვის გადაწყვეტილებების მისაღებად

ბენეფიციარები: 4,000.00 მოზარდი და 250 მოზრდილი

ბიუჯეტი: $717,232

დონორი: ქეა საერთაშორისო/USAID

პარტნიორები: ასოციაცია “ბავშვი მომავალია” და გურიის რესურსცენტრი